



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# ნორმების კოდექსი თვის მიმოხილვა

---

2024

ინფლაცია .....	3
საბანკო სექტორი .....	5
საბარეო სექტორი .....	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15

“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ



# ინფლაცია

ინფლაცია სამიზნე მარკენებელზე ქვემოთ ნარჩუნდება. ოქტომბერში წლიურმა ინფლაციამ გასულ თვეებთან შედარებით ისევ დაიკლო და 0.3% შეადგინა. სექტემბერთან შედარებით ფასების საერთო დონე 0.3%-ით გაიზარდა. ინფლაციის დაბალ დონეზე შენარჩუნებას მეცნილად ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაციის დაბალი დონე განაპირობებს, რაც თავის მხრივ გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების სტაბილურობაზე მიუთითებს. გასულ თვეებთან შედარებით მთლიანი ინფლაციის კლებას დამატებით ხელი შეუწყო იმპორტული ინფლაციის შემცირებამ.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამოირიცხავს, 1.2% შეადგინა.

თვის ინფლაცია 0.3% (პნიშვნალოვანი წვლილები)

წლიური ინფლაცია 0.3% (პნიშვნალოვანი წვლილები)





წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ოქტომბერში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაზე ყველაზე მეტად საწვავმა და ფასების სეზონურმა ცვლილებებმა იმოქმედა. საწვავის გაიფხვამ თვის ინფლაცია 0.2 პპ-ით შეამცირა. სეზონური პროდუქტებიდან კარტოფილის, კივის და მანდარინის გაიფხვამ თვის ინფლაცია ჯამში 0.2 პპ-ით შეამცირა, ხოლო ყველის, ადმის და ზამთრის ფეხსაცმლის გაძვირებამ ინფლაცია 0.3 პპ-ით გაზარდა.

წლიურ მართლში ინფლაციის მადებზე მნიშვნელოვანი გავლენა არცერთ ცალკე აღებულ პროდუქტს არ ჰქონია. საპირისპიროდ, ინტერნეტის, ელექტროენერჯის და ბენზინის გაიფხვამ ინფლაციას ჯამში 0.9 პპ-ით ამცირებდა. სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დიდი ჯგუფის, სურსათის, ფასები გასული წლის ოქტომბერთან შედარებით 0.2%-ით ნაკლები იყო, ხოლო წვლილი ინფლაციაში უარყოფით 0.1 პპ-ს შეადგენდა.

## მთლიანი და საბაზო ინფლაცია

## ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


ადგილობრივი ინფლაცია დაბალ დონეზე ნარჩუნდება და ოქტომბერში 1.8% შეადგინა. წინა თვესთან შედარებით ადგილობრივი ინფლაციის ზომიერი მადების მიზეზი ზოგიერთ სურსათზე (იმერული ყველი, კომბოსტო) საბაზო ეფექტის ამოწურვა და გარკვეული მომსახურებების (რეპედიტორის მომსახურება, ჯანმრთელობის დაზღვევა) წლიური გაძვირებაა. იმპორტული ინფლაცია კვლავ უარყოფითი გახდა (-1.5%) და ამის მთავარი მიზეზი სანავის გაიფხვამა. შერეული ინფლაცია უარყოფითია (-0.6%). აქ ყველაზე დიდი წვლილი კვლავ ელექტროენერჯისა და ანტიბიოტიკების გაიფხვამაზე მოდის.

მომსახურების ინფლაცია ოქტომბერში, წლიურად, გასულ თვესთან შედარებით გაიზარდა და 2.4% შეადგინა. ეს მადება მეცნილად რეპედიტორის და ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების გაძვირებას უკავშირდება.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2024 წლის წონები	ოქტ24/სექ24		ოქტ24/ოქტ23	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.3%	0.3%	0.3%	0.3%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.4%	0.4%	0.1%	0.4%	0.1%
სურსათი	30.4%	0.4%	0.1%	-0.2%	-0.1%
პური და პურპროდუქტები	6.1%	0.5%	0.0%	-0.7%	0.0%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	-0.3%	0.0%	1.3%	0.1%
თევზეული	0.4%	-2.1%	0.0%	-2.1%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.7%	2.3%	0.1%	-2.0%	-0.1%
ზეთი და ცხიმი	2.5%	1.6%	0.0%	1.8%	0.0%
ხილი, ყურძენი	1.6%	-5.3%	-0.1%	5.3%	0.1%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.2%	0.6%	0.0%	-5.7%	-0.2%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	1.4%	0.0%	1.9%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-0.7%	0.0%	2.9%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	0.9%	0.0%	6.5%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.8%	-0.3%	0.0%	3.3%	0.2%
დანსაცემელი და ფეხსაცემელი	4.0%	6.7%	0.3%	1.9%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	8.7%	0.3%	0.0%	-3.0%	-0.3%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.5%	-1.2%	-0.1%	-2.3%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.2%	0.0%	0.3%	0.0%
ტრანსპორტი	12.0%	-1.4%	-0.2%	-0.8%	-0.1%
კავშირგაბმულობა	3.7%	-0.1%	0.0%	-12.7%	-0.5%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.3%	0.5%	0.0%	-0.2%	0.0%
განათლება	4.6%	0.3%	0.0%	5.0%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	-0.2%	0.0%	7.6%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.2%	1.3%	0.1%	5.8%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	63.1%	-0.1%	-0.1%	-0.5%	-0.3%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	7.2%	4.0%	0.3%	0.4%	0.0%
ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.2%	0.0%	-0.6%	0.0%
მომსახურება	24.8%	0.3%	0.1%	2.4%	0.6%

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


სექტემბერში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 8.1 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 1.5 მლრდ ლარით გაიზარდა) და 57.2 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 16.5%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.2 მლრდ ლარით (0.8%-ით) გაიზარდა და 29.1 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების მატებამ განაპირობა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით 1.3 მლრდ ლარით გაიზარდა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 191.2 მლნ ლარით გაიზარდა.

## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სექტემბერში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.4 პპ-ით გაიზარდა და 5.9% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 7.4% შეადგინა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით, 1.9%-მდე გაიზარდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.5 პპ-ით გაიზარდა და 10.8% შეადგინა. ასევე, აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.4 პპ-ით, 2.6%-მდე გაიზარდა, ევროს ვადიანი დეპოზიტები კი 0.2 პპ-ით, 1.4%-მდე შემცირდა.

## დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკაალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დეპოზიტების დოლარიზაციამ სექტემბერში 48.8% შეადგინა.** სექტემბრის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.4 პპ-ით, 64.4%-მდე, ხოლო იურიდიული პირების 1.5 პპ-ით, 39.0%-მდე გაიზარდა. ამავდროულად, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით, 62.2%-მდე გაიზარდა.

**დეკონომიკის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდანი დეკონომიკის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სექტემბერში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 18.8%-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან შედარებით 0.3 პპ-ით გაიზარდა. სესხების ზრდის ტემპის მატება ეროვნული ვალუდით დაკრედიტების დაჩქარებამ განაპირობა. კერძოდ, სექტემბერში, ეროვნული ვალუდით დაკრედიტება 23.2%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 12.7 პპ წვლილი შეიტანა. ეროვნული ვალუდით დაკრედიტების ზრდა ბიზნესის სესხების ზრდას უკავშირდება, რომლის წვლილი დაკრედიტების ზრდაში 11.3 პპ-ია. ამავდროულად, მოიმატა იპოთეკური სესხების ზრდამ, რომლის წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 2.6 პპ-ზე შეადგინა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) წლიურად 13.6%-ით, 26.1 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 6.1 პპ-იანი წვლილი შეიტანა.

**სესხების წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.4 პპ-ით შემცირდა და 12.9% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით, 14.6%-მდე, შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 9.3%-მდე გაიზარდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით უცვლელია და 11.7%-ს შეადგენს. ხოლო იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 11.8% შეადგინა. სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 9.5%-მდე, შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.5 პპ-ით, 8.2%-მდე, გაიზარდა.


**სექტემბერში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.4 პპ-ით, 43.9%-მდე შემცირდა,** იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით, 63.6%-მდე შემცირდა. ასევე ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაციამაც 0.6 პპ-ით, 26.2%-მდე, მოიკლო. სექტემბერში ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 84.1 მლნ ლარით შემცირდა და 627.8 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 40.1% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

**დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ვადაგადაცილებული დავალიანება**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საბარეო სექტორი**


2024 წლის სექტემბერში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 17.3%-ით შემცირდა და 707.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის კლება ექსპორტის მაღალ ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტი წლიურად 4.2%-ით, 1,323.5 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა, ხოლო ექსპორტი წლიურად 17.0%-ით გაიზარდა და 615.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა**




წყარო: საქსტატი

**სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (სექტემბერი 2024)**




**იმპორტი - სექტემბერში საქონლის იმპორტი წლიურად 4.2%-ით შემცირდა.** საქონლის იმპორტის კლება უმეტესად სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის მაღალმა შემცირებამ განაპირობა. დაიკლო ასევე საინვესტიციო სახის საქონლის იმპორტმა, ხოლო შუალედური სახის საქონლის იმპორტი ამჯერად ზომიერად გაიზარდა. სამომხმარებლო სახის საქონლის იმპორტის კლებაში ყველაზე მეტი წვლილი რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების მკვეთრმა შემცირებამ განაპირობა, თუმცა მიუხედავად წლიურად კლებისა, მათი მოცულობა მთლიან იმპორტში კვლავ მნიშვნელოვან წილს იკავებს. ამასთანავე დაიკლო შერეული საქონლის, სიგარეტები-სიგარიტებისა და შაქრის ჯგუფების შესყიდვამ. მეორე მხრივ, სამომხმარებლო ჯგუფის იმპორტიდან აღსანიშნავია სამკურნალო საშუალებების, ჰაერის კონდენსირების მოწყობილობებისა და ელექტროლი ნყალგამახურებლების შესყიდვების ზრდა. შუალედური სახის საქონლის იმპორტის მატება უმეტესად ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, იმუნური შრატებისა და მანგანუმის მადნების, ასევე პორცლანდემენცისა და ხორბალი-მესლინის შესყიდვების ზრდამ განაპირობა. მეორე მხრივ, ძვირფასი ლითონების, სპილენძის მადნებისა და შავი ლითონების მიღების ჯგუფების იმპორტმა დაიკლო. ამის საპირისპიროდ, საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემცირება სხვადასხვა მოცურავე საშუალებების, ჩაჯვრთვის მანქანების, ტრაქტორებისა და მსხვილი სამშენებლო მანქანების შესყიდვების კლებამ განაპირობა. მეორე მხრივ, ამავე ჯგუფში საცვირთო ავტომობილების, ჭურჭლის სარეცხი მანქანებისა და მედიცინაში გამოსაყენებელი ხელსაწყოების იმპორტი წლიურად გაიზარდა. მთლიანობაში, სექტემბერში წლიურად საქონლის იმპორტმა რეალურად 12.7%-ით დაიკლო.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წლილი ზრდაში)**



წყარო: საქსტატი

**საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)**



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიძლება აშშ-მ, რაც რეექსპორტისთვის განკუთვნილი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების მკვეთრ შემცირებას უკავშირდება, თუმცა ამ ქვეყნიდან კვების სხვადასხვა პროდუქტების იმპორტი გაზრდილია. გარდა ამისა, იაპონიიდან იმპორტის კლება მსუბუქი ავტომობილების, ხოლო ავსტრიიდან ჩაფრთვა-გადმოცვრის მანქანების, ნიდერლანდებიდან სხვადასხვა მოცურავე საშუალებების, სომხეთიდან ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო თურქმენეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემცირებულმა შესყიდვებმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან სიგარეტები-სიგარილებისა და მსუბუქი ავტომობილების, შვედეთიდან ტრაქტორებისა და საცელეფონო აპარატების, პოლონეთიდან მსუბუქი და საცვრითო ავტომობილების შესყიდვების კლება. ამის საპირისპიროდ, დანარჩენი ქვეყნებიდან წლიურად იმპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდნენ ჩინეთი საცვრითო ავტომობილების, სამაცივრე მოწყობილობებისა და ჰაერის კონდენსირების მოწყობილობების, გერმანია მსუბუქი ავტომობილების, ჟურჩლის სარეცხი მანქანებისა და სამკურნალო საშუალებების, ჩეხეთი ტურბორეაქტიული ძრავების, ასევე გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ესპანეთი საბეჭდი მოწყობილობების, ეგვიპტე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, რუსეთი ნახშირბადიანი ფოლადის წნელების, ასევე ხორბალი-მესლინის შესყიდვების მატების გამო. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


**სექტემბერში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებს (28%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა.** მსუბუქი ავტომობილების იმპორტი თითქმის 33%-ით შემცირდა, თუმცა მთლიან იმპორტში 17%-იანი წილით კვლავ წამყვანი ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია ასევე, რომ სექტემბერში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის სექტემბერთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

**საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (სექტემბერი 2024, მლნ აშშ დოლარი)**

ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 102	სამკურნალო საშუალებები, 47
ნახშირბადიანი ფოლადის წნელები, 31	საფრთხი ავტომობილები, 21
საფრთხი ავტომობილები, 29	სიგარეტები, 17
მსუბუქი ავტომობილები, 224	გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები, 14
	ბულონ ზურები, ავსტორ ელდრები, 13

წყარო: საქსტატი

**ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (სექტემბერი 2024)**




წყარო: საქსტატი

**ექსპორტი - სექტემბერში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 17.0%-ით გაიზარდა და 615.6 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა.** საქონლის ექსპორტის ასეთი მაღალი ზრდა მეცნილად სამომხმარებლო სახის საქონლის ექსპორტის მატებამ განაპირობა. ამასთანავე, შუალედური სახის საქონლის იმპორტმა დაიკლო, ხოლო საინვესტიციო სახის საქონლის ექსპორტმა ზრდა განაგრძო. სამომხმარებლო სახის საქონლის ჯგუფიდან ყველაზე მეტი დადებითი წვლილი მსუბუქი ავტომობილებს (25 პპ სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდაში) და სპირტიანი სასმელების გაყიდვებმა შეიძინა. მოიმატა ასევე მინერალური, მცენარი და გაზიანი სასმელების, ასევე სამრეწველო დამზადების თამბაქოს ექსპორტმა. ამასთანავე, ადგილობრივი საქონლის ჯგუფებიდან აღსანიშნავია თხილი-კაკლისა და სხვადასხვა ხილის ჯგუფების ექსპორტის მატება.




საინვესტიციო საქონლიდან სამშენებლო დანიშნულების მანქანა-დანადგარების, მაცივარი-საყინულეებისა და თამბაქოს დასამზადებელი მოწყობილობების ექსპორტმა მოიმადა, ხოლო ტრაქტორებისა და საცვითო ავტომობილების რექსპორტმა კი ზომიერად დაიკლო. შუალედური სახის საქონლის ექსპორტის კლებაში მნიშვნელოვანი უარყოფითი წვლილი (18.6 პპ) ადგილობრივი წარმოების ნედლეულმა - ფეროშენადნობებისა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების - გაყიდვების კლებამ შეიძინა. ამასთანავე, მინერალური და ქიმიური სასუქების, ასევე ელექტროენერჯის ექსპორტმა დაიკლო. გარდა ამისა, სექტემბერში, ბოლო თვეების მსგავსად, ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი მაღალი იყო, ამასთან წლიურად მისი მოცულობა მნიშვნელოვნად მომატებულია. სექტემბერში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 4.2%-ით გაიზარდა.

**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



წყარო: საქსტატი

**საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)**



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების მატებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიტანეს ყირგიზეთსა და ყაზახეთში ექსპორტის მატებამ, რაც უმცესად მსუბუქი ავტომობილების მკვეთრად გაზრდილმა გაყიდვებმა განაპირობა. გარდა ამისა, რუსეთში სპირტიანი სასმელების, მინერალური წყლებისა და სხვადასხვა ხილის ექსპორტი, ხოლო აზერბაიჯანში ავეჯის ნაწილებისა და მინერალური წყლების ექსპორტი გაიზარდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია უზბეკეთში ელექტროლიტის ტრანსფორმატორებისა და მინერალური წყლების, საუდის არაბეთში ცოცხალი ცხვრებისა და თხების, ნიდერლანდებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, შვეიცარიაში დაუმუშავებელი ოქროს გაყიდვების მატება. ამის საპირისპიროდ, რეგიონის სხვა ქვეყნებში ექსპორტი შემცირდა. კერძოდ, თურქეთში ელექტროენერჯისა და ტრაქტორების, ხოლო ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გაყიდვებმა წლიურად დაიკლო. ამასთანავე დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია პერუსა და მოროკოში ქიმიური და მინერალური სასუქების, ერაყში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, საბერძნეთში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტის ზომიერი კლება. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 79% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


**სექტემბერში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (46%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. წილობრივად ასევე მაღალი იყო ძვირფასი ლითონების მადნების, სპირტიანი სასმელებისა და ყურძნის ღვინოების ექსპორტი.** საქონლის ექსპორტის მატებაში ყველაზე მაღალი წვლილები მსუბუქი ავტომობილებისა და ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფებმა შეიტანეს (16.5 პპ და 2.4 პპ მთლიან ცვლილებაში შესაბამისად). სექტემბერში, წინა თვეებისაგან განსხვავებით, ფეროშენადნობების გაყიდვებმა დაიკლო და წლიურად თითქმის 70%-ით შემცირდა. წლის დასაწყისიდან მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შემცირება დაიწყო, თუმცა წლის მეორე ნახევარში გაყიდვებმა იმადა. კერძოდ, სექტემბერში წლიურად მნიშვნელოვნად (43.9%-ით) მოიმადა და 285 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, ექსპორტის მოცულობაზე ელექტროენერჯისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯგუფებზე სავაჭრო მოთხოვნის არსებითი კლება უარყოფითად აისახა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქართველოს ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (სექტემბერი 2024, მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (სექტემბერი 2024)

მსუბუქი ავტომობილები, 285	სპირტიანი სასმელები, 23	ძვირფასი ლითონები ს მადნები, 22
	ყურძნის ღვინოები, 18	თხილი და სხვა კაკალი, 16
	სპილენძის მადნები, 15	დაგაზიანებული წყლები, 15
	მტკნარი წყლები, 15	ცხვრები და თხები ცოცხალი, 11
		დაუზუსტებელი ოქრო, 9

წყარო: საქსტატი




წყარო: საქსტატი

**ფულადი გზავნილები** - სექტემბერში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 1.1%-ით დაიკლო და 283.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 16.4%-ით 33.9 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


**წლიურად ფულადი გზავნილების მცირედი კლება საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება.** სექტემბერში, რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 40%-ით, 36 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა, მალალი ცემპებით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან და ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები (17.7%-ით და 20.4%-ით). ასევე, დანარჩენი ქვეყნებიდან, როგორცაა ყირგიზეთი და გაერთიანებული სამეფო, გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ ზრდადია (111.5%-იანი და 16.9% -იანი მატება, შესაბამისად). **კვლავ მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ევროკავშირის ქვეყნებიდან, იტალიიდან და გერმანიიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილების ზრდას.** სექტემბერში, რეგიონის ქვეყნებიდან, კერძოდ თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან გადმორიცხულმა თანხებმა დაიკლო (3.1%-იანი და 15.8%-იანი კლება). უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ მინიმალურ დონეზე რჩება. **სექტემბერში, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.6%), აშშ (17.3%) და რუსეთი (12.6%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მალალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (სექტემბერი 2024)

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# სავალუტო ბაზარი


სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6995-დან 2.7077-მდე (0.3%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 2.9677-დან 3.0082-მდე (1.4%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7297 და 3.0480 შეადგინა. სექტემბერში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.6896 იყო, მინიმალური კი - 2.7297.

## ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მარყვობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმუმი მნიშვნელობა თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


სექტემბერში, საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ლარის, თურქული ლირისა და რუსული რუბლის გაუფასურება; ევრო და სომხური დრამი გამყარდა, ხოლო აზერბაიჯანული მანათი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

## თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (სექტემბერი 2024; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 9.2%-ით გაუფასურდა, თვის წრილში კი 0.5%-ით. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად პრაქტიკულად არ შეცვლილია, თვის წრილში გაუფასურება კი 0.1%-ია.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციაზე ზრდის წნეხს ქმნის.

სავაჭრო პარტნიორებთან (თურქეთი, რუსეთი უკრაინა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, აშშ, ევროზონა და სომხეთი) შედარებით სექტემბერში წლიური ინფლაცია საქართველოში ყველაზე დაბალი იყო.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაცია იკლებს, თუმცა მთლიანობაში ფასები ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპაჭრო პარცნიორი ძველების ინფლაციები (სექტემბერი 2024)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავალუტო ბაზრის ტენდენციები**

სექტემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 ბანკი და 7<sup>1</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვითრად, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გაზრდილია, თუმცა დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც მაღალ კონკურენტულობაზე მიუთითებს.


ჰერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა როგორც თვითრად, ასევე წლიურად გაზრდილია. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 300.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 119.3 მლნ აშშ დოლარით, წინა წლის სექტემბერთან შედარებით კი - 89.9 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 7.6%-ით, წლიურად კი 17.7%-ით გაიზარდა.


სექტემბერში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ<sup>2</sup> გარიგებებით ხდებოდა (98.8%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,288.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 421.8 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 33.9 მლნ აშშ დოლარითაა შემცირებული. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 3.2% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვამ 106.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.  
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუდირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

**საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე**



**საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება წლიურ წრეში გაზრდილია, ხოლო თვიურად შემცირებული. საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სექტემბერში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 200.0 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრეში შემცირება 0.1 მლნ აშშ დოლარია) და 1,655.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 221.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრეში შემცირება 33.7 მლნ აშშ დოლარია) და 1,633.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

სექტემბერში სავალუტო ფორვარდ<sup>3</sup> გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 19.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრეში შემცირება 19.1 მლნ აშშ დოლარია) და 40.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი - არარეზიდენტი ბანკებსა და იურიდიულ პირებზე, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 21.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

**ბანკთაშორისი საოტ გარიგებებით შიდა წილი და გაყიდული უცხოური ვალუტა**

**ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა**



<sup>3</sup>გრაფიკზე ნარჩენულია სილიციაში ასახავს უცხოური ვალუტით ლარის შეძენას და აღიწერს განხორციელებულ ტრანზაქციების ბრუნვებს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 126.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და მონეტარული ოქროს გადაფასება, ხოლო შემცირების მიმართულებით სავალუტო ინტერვენციებით უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვა და მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მკვირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

**ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფულადი ბაზარი

სექტემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და სექტემბრის ბოლოს ნაშთმა 80 მლნ ლარი შეადგინა.


სექტემბერში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 270.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. სექტემბერში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 85 და 105 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 199.5 მლნ ლარით გაიზარდა და 9,183.9 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 65.8%-ს კომერციული ბანკების, 18.7%-ს ეროვნული ბანკის, 11.9%-ს რეზიდენტების, ხოლო 3.5%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

### სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


### სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სექტემბერში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები მცირედით გაიზარდა. სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები კი ძირითადად შემცირდა. კერძოდ, სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.08 პპ-ით, 7.68%-მდე, გაიზარდა. რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთებს, ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.05 პპ-ით გაიზარდა და 7.87% შეადგინა; ხოლო ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.06 პპ-ით, 7.74%-მდე შემცირდა. სახაზინო ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ობლიგაციების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები 0.63, 0.31 და 0.49 პპ-ით შემცირდა და, შესაბამისად, 8.45%, 8.47% და 8.66% შეადგინა.

**ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ლარის შამოსავლიანობის მრუდი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 1,545.9 მლნ ლარით (წლიურად 11,603.0 მლნ ლარით) 19,927.9 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად ეროვნული ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (78.4%), რომლის მოცულობაც თვიურად 472.8 მლნ ლარით (2.9%-ით) შემცირდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 2,018.7 მლნ ლარით (88.6%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.05 პპ-ით გაიზარდა და 7.94% შეადგინა. უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით 0.13 პპ-ით შემცირდა და 3.13% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ სექტემბერში ფულადი ბაზრის რესურსის 43.1% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 56.4% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

**ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული აბრეგატები**

სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 127.0 მლნ ლარით (1.7%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 7.4 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 24.6 მლნ ლარით (0.3%-ით) გაიზარდა.


სექტემბერში, საბანკო სისტემაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 65.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო აუქციონებით ეროვნულ ბანკს ინტერვენციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა გაყიდვებმა სექტემბრის განმავლობაში 106.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 171.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. სექტემბერში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 177.0 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1178.5 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი აგრეგატი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სექტემბერში ნაღდი ფულზე მოთხოვნა 79.5 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 200.0 მლნ ლარით გაიზარდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი 365.0 მლნ ლარით გაიზარდა. სექტემბერში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და დაიფარა 20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატი. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა არ ყოფილა. მთლიანობაში, სექტემბერში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 565.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 4,390.7 მლნ ლარს გაუცოლდა.


სექტემბერში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 1,035.9 მლნ ლარით გაიზარდა, მეცნილად უცხოური ვალუტის დებოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 258.5 მლნ ლარით გაიზარდა.

**საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06  
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

